იურისტთა და ადვოკატების პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები
#PI/SME-001/2018-1

I. ზესავალი

1.1. იურისტთა და ადვოკატების პასუხისმგებლობის დაზღვევის წინამდებარე პირობები (შემდგომში – დაზღვევის პირობები) განსაზღვრავენ იმ ქონებრივი ინტერესების დაზღვევის ხელშეკრულებების დადების, შესრულების და შეწყვეტის წესსა და პირობებს, რომლებიც დაკავშირებულია იურისტების და ადვოკატების მიერ, თავიანთი პროფესიული საქმიანობის განხორციელების შედეგად, მესამე პირების ქონებრივი ინტერესებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან (შემდგომში – დაზღვევის ხელშეკრულება).

1.2. წინამდებარე პირობებში გამოყენებული დასახელებები და ცნებები რიგ შემთხვევაში სპეციალურად განიმარტება შესაბამისი განსაზღვრებებით. თუ რომელიმე დასახელების ან ცნების მნიშვნელობა არ არის განსაზღვრული პირობებით და არ შეიძლება იქნას განმარტებული, გამომდინარე კანონმდებლობიდან და ნორმატიული აქტებიდან, ასეთი დასახელება ან ცნება გამოიყენება თავისი ჩვეულებრივი ლექსიკური მნიშვნელობით.

1.3. დაზღვევის ხელშეკლრულების დადებისას წინამდებარე პირობები დაზღვევის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი ხდება და სავალდებულოა დამზღვევისა და მზღვეველისათვის.

1.4. დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას, აგრეთვე, მისი მოქმედების პერიოდში ისეთ შემთხვევებში, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება, დამზღვევს და მზღვეველს შეუძლიათ შეთანხმდნენ წინამდებარე პირობების ცალკეული დებულებების შეცვლის ან ამოღების და/ან მათი დამატების თაობაზე.

II. დაზღვევის სუბიქტები (მონაწილეები)

2.1. დაზღვევის ხელშეკრულებებში, რომლებიც იდება წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად მზღვეველს წარმოადგენს სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი".

2.2. დამზღვევებად, ანუ პირებად, რომლებიც დებენ მზღვევლთან დაზღვევის ხელშეკრულებას და იხდიან სადაზღვევო პრემიას, შეიძლება იყვნენ ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირები და ქმედუნარიანი ფიზიკური პირები, მათ შორის ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებსაც მზღვეველთან დადებული აქვთ დაზღვევის ხელშეკრულება.

2.3. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით, რომელიც დადებულია წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად, დაზღვეულია დამზღვევის პროფესიული პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშობა დამზღვევის მიერ მხოლოდ იმ პირთა მეშვეობით პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, რომლებიც დასახელებული არიან დაზღვეულ პირებად სადაზღვევო პოლისში და რომლებსაც აქვთ პროფესიული საქმიანობის განახორციელების უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.3.1. დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დებულებები ვრცელდება როგორც დამზღვევზე, ასევე, დაზღვულზე. მზღვეველი უფლებამოსილია, მოთხოვოს დაზღვეულ პირს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. დაზღვეული პირი პასუხუსმგებელია დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე დამზღვევის იდენტურად, გარდა სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისა.

2.4. დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით, შეიძლება დაეზღვეს ადვოკატის (იურისტის) პროფესიული პასუხისმგებლობის რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ მარწმუნებელთან დადებული შეთანხმების პირობების დამზღვევის მიერ დარღვევის გამო. იურდიული მომსაუხრების ხელშეკრულების დარღვევისათვის პროფესიული პასუხისმგებლობის რისკის დაზღვევისას მხოლოდ დამზღვევის პასუხისმგებლობის რისკის დაზღვევა არის შესაძლებელი.

2.5. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშერულება დადებულად ითვლება იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებსაც შეიძლება ზიანი მიადგეს (შემდგომში – მესამე პირები, მოსარგებლე) იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელშეკრულება დადებულია დამზღვევის ან დაზღვეული პირის სასარგებლოდ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ზიანის მიყენებაზე, ან სადაზღვევო პოლისში მითითებული არ არის ვის სასარგებლოდ დაიდო ის.

2.6. წინამდებარე პირობების შესაბამისად მესამე პირებს წარმოადგენენ პირები, რომლებთანაც იყო დადებული ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების შესახებ და ნებისმიერი პირები, რომლებსაც შეიძლება ზიანი მიადგეს დამზღვევის მიერ თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, გარდა დამზღვევის მუშაკებისა, მათ მიერ შრომითი (სამსახურებრივი, თანამდებობრივი) მოვალეობების შესრულებისას, დამზღვევის მიმართ აფილირებული პირებისა და იმ პირებისა, რომელთა მიმართ დამზღვევი არის აფილირებული.

სადაზღვევო პოლისით შეიძლება გათვალისწინებულ იქნას, აგრეთვე, სხვა იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებიც ხელშეკრულების ჩარჩოებში მესამე პირებს წარმოადგენენ.

2.7. დამზღვევის მუშაკებში იგულისხმება მისი ხელმძღვანელები და თანამშრომლები, რომლებსაც მასთან დადებული აქვთ შრომითი, სასამსახურო ან სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება (დაქირავებით მომუშავე დირექტორების ჩათვლით).

2.8. დაზღვევის მიზნებისათვის პროფესიული საქმიანობის ქვეშ იგულისხმება:

- საადვოკატო საქმიანობა;

- იურიდიული- საკონსულტაციო საქმიანობა.

2.8.1. საადვოკატო საქმიანობა არის კვალიფიციური იურიდიული დახმარება, რომელიც პროფესიულ საფუძველზე გაწეულია ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მათი უფლებების, თავისუფლებების და ინტერტესების დაცვის, აგრეთვე, მართლსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, იმ პირის მიერ, რომლებიც ითვლებიან ადვოკატად საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

იურიდიული-საკონსულტაციო მომსახურება შეიცავს:

- იურიდიულ საკითხებზე კონსულტაციების გაწევას;

- განცხადებების, საჩივრების, შუამდგომლობების და სამართლებრივი ხასიათის სხვა დოკუმენტების შედგენას;

- მარწმუნებლის ინტერესების წარდგენას საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში;

- მარწმუნებლის წარმომადგენლის სახით მონაწილეობას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, თუ აღნიშნული არ შედის საადვოკატო საქმიანობაში;

- მარწმუნებლის წარმომადგენლის სახით მონაწილეობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე სამართალწარმოებაში, თუ აღნიშნული არ შედის საადვოკატო საქმიანობაში;

- მარწმუნებლის წარმომადგენლის სახით მონაწილეობას საქმეების განხილვისას სამედიატორო სასამართლოში;

- მარწმუნებლის ინტერესების წარდგენას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, თვითმმართველობის ორგანოენში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში და სხვა ორგანიზაციებში;

- მარწმუნებლის წარმომადგენლის სახით მონაწილეობას სააღსრულებლო წარმოებაში,

- სხვა სახის იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

2.8.2. იურიდიული-საკონსულტაციო მომსახურების ქვეშ იგულისხმება ფასიანი იურიდიული მომსახურება, რომელიც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.9. დაზღვევის ხელშეკრულებით შეიძლება დაზღვეული იქნას დამზღვევის პროფესიული პასუხისმგებლობა ყველა სახის იურიდიული დახმარების (იურიდიული მომსახურების) გაწევის ან განსაზღვრული სახის იურიდიული დახმარების (იურიდიული მომსახურების) გაწევისას.

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს კონკრეტული სახის იურიდიულ დახმარებაზე (იურიდიული მომსახურებაზე), რომელიც ხორციელდება დამზღვევის მიერ იურიდიული დახმარების გაწევაზე კონკრეტული შეთანხმების (იურიდიული მომსახურების გაწევის ხელშეკრულების) ფარგლებში.

2.10. დაზღვევის ტერიტორიას წარმოადგენს სადაზღვევო პოლისში მითითებული ტერიტორია, სადაც დამზღვევის მიერ განხორციელებული საქმიანობა დაზღვეულად ითვლება. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი სადაზღვევო პოლისით, დაზღვევის ტერიტორიას წარმოადგენს საქართველო.

III. დაზღვევის ობიქტები

3.1. წინამდებარე პირობების შესაბამისად დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დამზღვევის ქონებრივი ინტერესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და რომელთა დაზღვევაზე დადებულია ხელშეკრულება, ამ უკანასკნელთა რისკთან დაკავშირებული პასუხისმგელობები იმ ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოიქმნა დაზღვეული პროფესიული საქმიანობის შესრულებისას მესამე პირების ქონებრივი ინტერესებისათვის ზიანის მიყენების შედეგად და მოიცავს:

3.1.1. პასუხისმგებლობის რისკს იმ ვალდებულებებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მესამე პირების ქონებრივი ინტერესებისათვის ზიანის მიყენების შედეგად, აგრეთვე იურიდიული მომსახურების გაწევაზე ხელშეკრულების (იურიდიული დახმარების გაწევაზე შეთანხმების) პირობების დარღვევის შედეგად წარმოშობილ ქონებრივი პასუხისმგებლობის რისკს;

3.1.2. მზღვევლთან შეთანხმებულ ხარჯებს, რომლებიც გასწია დამზღვევმა მის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ქონებრივი პრეტენზიების წაყენების შედეგად, სასამართლოში ან არბიტრაჟში საქმის წარმოებისას იურიდიული დახმარების, აგრეთვე ექსპერტებისა და ადვოკატების მოსახურების ანაზღურებისთვის.

IV. სადაზღვევო შემთხვევები

4.1. სადაზღვევო რისკს წარმოადგენს სავარაუდო მოვლენა, რომლის დადგომის შემთხვევისთვისაც იდება დაზღვევის ხელშეკრულება.

4.2. სადაზღვევო შემთხვევა არის დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვლენის დადგომა რომლის შედეგად წარმოქმნება მზღვეველის ვალდებულება მოახდინოს სადაზღვევო ანაზრღაურების გადახდა.

4.3. დაზღვევის წინამდებარე პირობების შესაბამისად სადაზღვევო შემთხვევა არის

სამოქალაქო პასუხსიმგებლობის დადგომა, რომელიც წარმოქმნის დამზღვევის ვალდებულებას აუნაზღაუროს მესამე პირებს მათი ქონებრივი ინტერესებისთვის შეცდომების და/ან დაუდევრობის შედეგად მიყენებული ზიანი, რომლებიც დაშვებულ იქნა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, იმ პირობით, რომ:

4.3.1. მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების (დადგენილების), მზღვეველის წერილობითი თანხმობით დადებული მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ განჩინების ან მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ პრეტენზიის საფუძველზე, რომელიც დამზღვევის მიერ აღიარებულია მზღვეველის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

დამზღვევის ვალდებულება მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე დაზღვევის ხელშეკრულების პირობების თანახმად, შეიძლება დადგინდეს, როგორც დაზღვევის პერიოდის განმავლობაში, აგრეთვე მისი დასრულების შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ პრეტენზია მზღვეველისათვის წაყენებული იქნა წერილობითი ფორმით სადაზღვევო პერიოდის მოქმედების განმავლობაში და თუ ამ პრეტენზიის საფუძველს წარმოადგენს დამზღვევის ქმედება, რომელსაც ადგილი ჰქონდა დაზღვევის მოქმედების პერიოდში.

4.3.2. შემთხვევა არ წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულებაში ჩამოთვლილ არცერთ გამონაკლისს.

4.3.3. ზიანის მიყენება მოხდა სადაზღვევო პოლისით შეთანხმებული დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებში და დაზღვევის მოქმედების პერიოდში, თუ სადაზღვევო პოლისით არ არის გათვალისწინებული სადაზღვევო დაფარვა რეტროაქტიური პერიოდის განმავლობაში.

რეტროაქტიური პერიოდი – არის პერიოდი, რომელიც იწყება მხარეთა მიერ შეთანხმებული თარიღიდან, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში და მთავრდება დაზღვევის პერიოდის დაწყების თარიღით.

რეტროაქტურ პერიოდზე სადაზღვევო დაფარვა მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის მიმართ პრეტენზიის გაცხადებას ადგილი ჰქონდა დაზღვევის ხელშკერულების მოქმედების განმავლობაში.

4.3.4. დამზღვევის მიერ თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დაშვებულ შეცდომას/დაუდევრობას, რომელმაც გამოიწვია ზიანის მიყენება, ადგილი ჰქონდა დაზღვევის პერიოდის ან, თუ ეს გათვალისწინებულია სადაზღვევო პოლისით, რეტროაქტიური პერიოდის განმავლობაში.

რეტროაქტიური პერიოდის განმავლობაში დაშვებული ზიანის მიყენება და/ან შეცდომა და/ან დაუდევრობა ჩაითვლება სადაზღვევო შემთხვევად იმ პირობით, რომ დამზღვევმა დაზღვევის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არ იცოდა განვლილ პერიოდში დაშვებული ზიანის მიყენების ფაქტის და/ან დაშვებული შეცდომის ფაქტის და/ან დაუდევრობის ფაქტის შესახებ და მას არ ჰქონდა ამასთან დაკავშირებით მესამე პირების მიერ განცხადებული პრეტენზიები.

4.3.5. დამტკიცებულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დაშვებულ შეცდომასა და/ან დაუდევრობას და ზიანის მიყენებას შორის, თუ არ არსებობს მზღვეველის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე დადებული მორიგების აქტი ან წაყენებული პრეტენზია დამზღვევის მიერ ცნობილი იქნა მზღვეველის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

4.3.6. მესამე პირების ქონებრივი პრეტენზიები მიყენებული ზიანის ანაზღურების შესახებ დამზღვევისათვის პირველად არის განცხადებული დაზღვევის პერიოდის განმავლობაში.

4.3.7. ქონებრივი პრეტენზია განცხადებულია დაზღვევის ტერიტორიაზე, და იმ პირობით, რომ პასუხისმგებლობის დადგომის საკითხები გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

უცხო სახელმწიფოთა სასამართლოების/არბიტაჟის/მედიაციის მიერ გამოტანილი

გადაწყვეტილებების საფუძველზე დაკისრებული პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულებით არ ექვემდებარება დაფარვას, მიუხედავად იმისა, მათი ცნობა/აღსრულება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულია, თუ – არა.

4.4. თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სადაზღვევო პოლისით, სადაზღვევო შემთხვევას, აგრეთვე, წარმოადგენს დამზღვევისათვის მზღვეველთან შეთანხმებული ხარჯების გაწევის აუცილებლობის წარმოქმნა, რომლებიც საჭიროა დამზღვევის სამოქალაქო (პროფესიული) პასუხისმგებლობის დადგომის სავარაუდო შემთხვევაზე სასამართლო და საარბიტრაჟო სასამართლოებში საქმის წარმოებისას, რაც შეიძლება მოიცავდეს სასამართლო (საარბიტაჟო) ხარჯებს, ასევე, იურდიული მომსახურების ექსპერტის, სპეციალისტის მოწვევისა და მხარეთა მიერ შეთანხმებულ სხვა ხარჯებს იმ პირობით, რომ:

4.4.1. ქონებრივი პრეტენზიები წაყენებულია დამზღვევისათვის მის მიერ დაზღვეული პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დაშვებული შეცდომების ან/და დაუდევრობის გამო.

4.4.2. დაცვაზე გაწეული ხარჯები სასამართლო ორგანოებში საქმეების წარმართვისას, ადვოკატების და ექსპერტების ანაზღაურების ხარჯების ჩათვლით, გაწეულია დამზღვევის მიერ მზღვეველის წერილობითი მითითებების აღსასრულებლად და მისი წერილობითი თანხმობით.

4.5. ქონებრივი პრეტენზიის ქვეშ იგულისხმება:

- ნებისმიერი წერილობითი პრეტენზია, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, სასარჩელო განცხადება, რომელიც შეტანილია/გაცხადებულია მესამე პირის მიერ დამზღვევის წინააღმდეგ დამზღვევის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში;

- ნებისმიერი გარემოება, რომლის შესახებ დამზღვევისთვის ცნობილი გახდა და რომელსაც მომავალში შეიძლება გახდეს წერილობითი პრეტენზიის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის და სასარჩელო განცხადების საფუძველი. აღნიშნული გარემოება განიხილება როგორც ქონებრივი პრეტენზია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევმა მზღვეველისთვის გაგზავნილ წერილობით შეტყობინებაში დეტალურად და დასაბუთებულად ჩამოაყალიბა, თუ რატომ შეიძლება გამომდინარეობდეს პრეტენზიის წაყენება ამ გარემოებიდან და ვის შეიძლება ეკუთვნოდეს აღნიშნული მოთხოვნები. თუ ამ გარემოებების თაობაზე შეტყობინების შემდეგ დამზღვევი დაზღვევის პერიოდის განმავლობაში არ შეატყობინებს მზღვეველს მის მიმართ წერილობითი პრეტენზიების, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების წაყენების შესახებ, აღნიშნული გარემოებები არ განიხილება როგორც ქონებრივი პრეტენზია.

4.5.1. ამასთან ქონებრივი პრეტენზია პირველად განცხადებულად ითვლება იმ მომენტში, როდესაც:

- წერილობითი შეტყობინება ამ პრეტენზიის (მოთხოვნის) შესახებ პირველად იქნა მიღებული დამზღვევის ან მზღვეველის მიერ (იმის მიხედვით, თუ ვინ მიიღო უფრო ადრე);

- დამზღვევისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოების წარმოქმნის შესახებ, რომელსაც შეიძლება შემდგომში გახდეს წერილობითი პრეტენზიების, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების და სასარჩელო განცხადებების წარდგენის საფუძველი.

4.5.2. ყველა ქონებრივი პრეტენზია ერთი სადაზღვევო შემთხვევის ფარგლებში განცხადებულად ითვლება იმ მომენტში, როდესაც განცხადებული იქნა პირველი მათგანი.

4.5.3. თუ ერთი ქონებრივი პრეტენზია წაეყენა ერთზე მეტ პირს, რომელთა პასუხისმგებლობა დაზღვეულია, ეს განიხილება როგორც ერთი სადაზღვევო შემთხვევა.

4.6. დაზღვევის წინამდებარე პირობების თანახმად პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამზღვევის მიერ წინასწარი განზრახვის გარეშე დაშვებულ შეცდომას, დაუდევრობას, თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის

გათვალისწინებული, მიეკუთვნება:

- კანონმდებლობის არასწორი განმარტება;

- საპროცესო კანონმდებლობით (საარბიტრაჟო დებულებით) ან/და სასამართლოს (არბიტრაჟის) დავალებით განსახორციელებელი ქმედებისთვის დადგენილი ვადების გაშვება;

- შეცდომები დოკუმენტების, მოთხოვნების შედგენისას/ჩამოყალიბებისას, სამართლებრივ საკითხებზე წერილობითი ცნობების გაცემისას;

- შესრულებული იურიდიული ქმედებების შედეგებზე მარწმუნებლისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა, რამაც გამოიწვია მარწმუნებლისათვის ზიანის მიყენება;

4.6.1. ყველა ქონებრივი პრეტენზია, რომელიც არის ერთი ან რამოდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული დაშვებული შეცდომის, დაუდევრობის შედეგი, განიხილება როგორც ერთი სადაზღვევო შემთხვევა.

თუ ერთზე მეტმა შეცდომამ და/ან დაუდევრობამ ზიანის მიყენების ან იურიდიული დახმარების გაწევის შეთანხმების დარღვევის ერთი შემთხვევა გამოიწვია, ეს განიხილება როგორც ერთი სადაზღვევო შემთხვევა.

4.6.2.. სადაზღვევო პოლისით შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ის, რომ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დაფარვა ვრცელდება აგრეთვე იმ მოწვეული სპეციალისტების მიერ დაშვებულ შეცდომებზე, დაუდევრობაზე, რომლებიც არ არიან დამზღვევის მუშაკები, აგრეთვე, იმ პირების (ქვეკონტრაქტორების) მიერ, რომლებიც პროფესიულ საქმიანობას ახორციელებენ დამზღვევის სახელით და მათი საქმიანმობის შედეგებზე პასუხს აგებს დამზღვევი.

V. გამონაკლისები სადაზღვევო დაფარვიდან

5.1. მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის მოვალეობისაგან, თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგა:

5.1.1. სამხედრო მოქმედებების, აგრეთვე მანევრების ან სხვა სამხედრო ღონისძიებების, ომის, დაპყრობის, უცხოელი მტრის ქმედებების, სამოქალაქო ომის, აჯანყებით, რევოლუციით, ამბოხებით ან სამხედრო ან უკანონო ხელისუფლებით; ნებისმიერი სახის სამოქალაქო არეულობის ან გაფიცვის, დივერსიის, ტერორისტული აქტების, ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის შედეგად.

5.1.2. დამზღვევის განზრახვის შედეგად, რომელიც მიმართული იყო სადაზღვევო შემთხვევის დადგომისკენ.

5.1.3. ბირთვული აფეთქების, რადიაციის ზემოქმედების ან რაიდოაქტიური დაბინძურების შედეგად.

5.1.4. ჰაერის, წყლის ან ნიადგის დაბინძურების შედეგად ან მასთან დაკავშირებით.

5.1.5. სახელმწიფო ორგანოების განკარგულებით ქონების ამოღების, კონფისკაციის, რეკვიზიციის, დაყადაღების ან განადგურების შედეგად.

5.1.6. ისეთი გარემოებების არსებობისას, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან.

5.2. არ წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევას ისეთი მოვლენები, რომლებიც წარმოიქმნა:

5.2.1. დაუძლეველი ძალის მქონე გარემოებათა მოქმედების შედეგად.

5.2.2. დამზღვევის, მისი მუშაკების განზრახ ქმედებების (მათ შორის პროფესიული საქმიანობის სტანდარტების, პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი აქტების დარღვევის შედეგად), არაკეთილსინდისიერი ან თაღლითური ქმედების, მესამე პირების, მოსარგებლის მიერ განზრახ ჩადენილი ქმედებების შედეგად, აგრეთვე მესამე პირსა და/ან მოსარგებლის და დაზღვეულს/დამზღვევს შორის წინასწარი

გარიგების/შეთანხმების შედეგად.

5.2.3. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ისეთი პირების მიერ, რომლებსაც არ გაუვლიათ დადგენილი წესით სწავლება (ატესტაცია, აკრედიტაცია, გამოცდა, სერტიფიცირება და სხვ.), იმ პირობით, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ასეთი სწავლება (ატესტაცია, აკრედიტაცია, გამოცდა და სხვ.) წარმოადგენს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ პირობას.

5.2.4. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ისეთი პირების მიერ, რომლებიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან.

5.2.5. ზიანის მიყენების შედეგად დამზღვევის მიერ ისეთი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, რომლის განხორციელებაზეც მას არ ჰქონდა დადგენილი წესით მიღებული ნებართვა (ლიცენზია), ან მიღებული ნებართვის (ლიცენზიის) მოქმედება შეჩერებული ან გაუქმებული იყო, იმ პირობით, რომ ასეთი ნებართვის (ლიცენზიის) არსებობა საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულო პირობას წარმოადგენდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის, ან იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც დამზღვევს შეჩერებული ან შეწყვეტილი ჰქონდა საქმიანობის ლიცენზია, ან ნებისმიერი სხვა პერიოდის განმავლობაში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამზღვევს პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლება არ ჰქონდა.

5.2.6. დამზღვევის მიერ, რომელიც უცხო ქვეყნის ადვოკატს წარმოადგენს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სპეციალურ რეესტრში რეგისტრაციის გარეშე საქართველოს ტერიტორიაზე საადვოკატო საქმიანობის განხორციელების შედეგად.

5.2.7. დამზღვევის მიერ ისეთი დავალების მიღების შედეგად, რომელსაც აშკარად მართლსაწინააღმდეგო ხასიათი აქვს.

5.2.8. ხელშეკრულებით ნაკისრ ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც აღემატება კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

5.2.9. დამზღვევის მიერ დავალების მიღების შედეგად იმ პირისგან, რომელმაც მას მიმართა იურიდიული დახმარებისთვის, იმ შემთხვევებში, თუ:

- მას გააჩნია კერძო/დამოუკიდებელი ინტერესი მარწმუნებელთან შეთანხმების საგნის მიმართ, რომელიც განსხვავდება მარწმუნებლის ინტერესისგან;

- ის მონაწილეობდა საქმეში მოსამართლის ან არბიტრის, შუამავალი (მედიატორის), პროკურორის, გამომძიებლის, ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯმნის სახით, მოცემულ საქმეზე დაზარალებულს ან მოწმეს წარმოადგენს, აგრეთვე, თუ ის იყო თანამდებობის პირი, რომლის კომპეტენციაშიც შედიოდა გადაწყვეტილების მიღება;

- მას გააჩნია ნათესაური კავშირი ისეთ თანამდებობრივ პირთან, რომელიც მონაწილეობდა ან მონაწილეობს აღნიშნული პირის საქმის გამოძიებაში ან განხილვაში;

- იურიდიულ დახმარებას უწევს სხვა მარწმუნებელს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება ამ პირის ინტერესებს.

5.2.10. თუ დამზღვევმა დაიკავა პოზიცია, რომელიც მარწმუნებლის პოზიციას ეწინააღმდეგება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც დამზღვევი დარწმუნებულია რომ მარწმუნებლი შეგნებულად აღიარებს მის მიერ ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტს, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება.

5.2.11. დამზღვევის საჯარო განცხადებების შედეგად იმის თაობაზე, რომ მარწმუნებლის ბრალეულობა დამტკიცებულია და მარწმუნებელი უარყოფს ამას.

5.2.12. რწმუნებულის თანხმობის გარეშე ისეთი ინფორმაციის გახმაურების შედეგად, რომელიც შეატყობინა დამზღვევს მარწმუნებელმა ამ უკანასკნელისათვის იურიდიული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

5.2.13. დამზღვევისათვის მესამე პირის მიერ პრეტენზიის წაყენების შემთხვევაში

დამზღვევის მიერ საკუთარი თავის დაცვაზე უარის თქმის შედეგად.

5.2.14 ოპერატიულ-საგამომძიებო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებთან დამზღვევის ფარული თანამშრომლობის შედეგად.

5.2.15. დამზღვევის მიერ დავალების შესრულებაზე ორდერის და/ან მინდობილობის გარეშე პროფესიული საქმიანობის განხორციელების ან დავალების შესრულებაზე ორდერით და/ან მინდობილობით გათვალისწინებული უფლებამოსილების გადამეტების შედეგად.

5.2.16. საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას დამზღვევის მიერ საქართველოს შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების გადამეტების შედეგად.

5.2.17. მარწმუნებელთან იურიდიული მომსახურების გაწევაზე წერილობითი შეთანხმების (იურიდიული მომსახურების გაწევის ხელშეკრულების) არარსებობის შემთხვევაში დამზღვევის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების შედეგად, აგრეთვე, თუ ასეთი შეთანხმება იურიდიული დახმარების გაწევაზე (იურიდიული მომსახურების გაწევის ხელშეკრულება) ბათილად იქნება მიჩნეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იმ პირობით, რომ იურიდიული დახმარების გაწევაზე შეთანხმების (იურიდიული მომსახურების გაწევის ხელშეკრულების) არსებობა სავალდებულო იყო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2.18. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ისეთი შეცდომის, დაუდევრობის, ზიანის მიყენების შედეგად, რომელთა შესახებ დამზღვევისათვის ცნობილი იყო (უნდა ყოფილიყო ცნობილი) დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე.

5.2.19. დამზღვევისათვის მარწმუნებლის მიერ გადაცემული დოკუმენტების დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების შედეგად.

5.2.20. ნებისმიერი მონაცემების, ფასიანი ქაღალდების და ობლიგაციების განადგურების, დაზიანების ან გაუჩინარების შედეგად;

5.2.21. დამზღვევის თანაშემწის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების, აგრეთვე, დამზღვევების სტაჟორის მიერ საადვოკატო საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების შედეგად ისეთ შემთხვევებში, როდესაც დამზღვევი თავად არის ადვოკატი.

5.2.22. დამზღვევის მიერ დადებითი შედეგის მიუღწევლობის შედეგად მარწმუნებლის დავალებაზე (საქმეზე), რომელიც გათვალისწინებული იყო დამზღვევსა და მარწმუნებელს შორის დადებული შეთანხმებით იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ (იურიდიული მომსახურების გაწევის) ხელშეკრულებით.

5.2.23. პროფესიული საქმიანობის განხორციელების (იურიდიული დახმარების გაწევის) ვადის გადაცილების ან დაუცველობის შედეგად (გარდა 4.6 პუნქტით გათვალისწინებული საპროცესო კანონმდებლობით (საარბიტრაჟო დებულებით) ან/და სასამართლოს (არბიტრაჟის) დავალებით განსახორციელებელი ქმედებისთვის დადგენილი ვადების გაშვებისა);

5.2.24. სხეულის დაზიანების, ქონების (მათ შორის დამზღვევის მიერ იჯარით, ქირით, ლიზინგით ან გირაოთი, ან შესანახად აღებული საგნების) დაზიანების, განადგურების ან გაფუჭების შედეგად ან აქედან გამომდინარე ნებისმიერი არაპირდაპირი ზარალი.

5.2.25. ასბესტის მტვრის, ასბესტის, დიეთილსტიროლის, დიოქსინის, შარდოვანას ფორმადლდეჰიდის ზემოქმედების შედეგად ან დაკავშირებით.

5.2.26. ობის, სოკოს ან მსგავსი ორგანული ნივთიერების ზემოქმედების შედეგად ან მათთან დაკავშირებით.

5.2.27. სადაზღვევო პოლისით შეიძლება გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე სხვა გამონაკლისებიც.

5.3. წინამდებარე პირობების შესაბამისად, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული

სადაზღვევო პოლისით, ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

5.3.1. ზარალი, რომელიც მიუღებელ შემოსავალს/სარგებელს წარმოადგენს.

5.3.2. მორალური ზიანი ან საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანი, საავტორო უფლებების, სასაქონლო ნიშნებზე უფლებების, ინტელექტუალური საკუთრების და სხვა პირადი უფლებების დარღვევასთან და საქონელის, სამუშაოების, ან მომსახურების ინდივიდუალიზაციის საშუალებებთან დაკავშირებული ზარალი.

5.3.3. ზიანი, რომელიც მიადგა დამზღვევს სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პირგასამტეხლოს, ჯარიმის და საურავის გადახდის სახით.

5.3.4. დამზღვევის გაკოტრების ან გადახდისუუნარობის შედეგად მესამე პირებისთვის მიყენებული ზარალი.

5.3.5. დამზღვევის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მესამე პირებისგან მიღებული ჰონორარების დაბრუნებასთან ან შემცირებასთან და ანალოგიური იურიდიული დახმარების ხელახლა გაწევასთან ან შესრულებული სამუშაოს (მომსახურების) ნაკლოვნებების აღმოფხვრასთან დაკავშირებული დამზღვევის ზარალი, ასევე ხარჯები, დაკავშირებული რესტიტუციასთან, უსაფუძვლო გამდიდრების გზით მიღებული უკანონო შემოსავლების უკან დაბრუნებასთან;

5.3.6. დამზღვევის მიერ გაწეული ხარჯები, რომლებიც გაწეულია ისეთი მოთხოვნის ან წარმოების გარემოებებისა და მიზეზების წინასწარი გარკვევის ან დაცვის მიზნით, რომელიც არ წარმოადგენს პრეტენზიას, თუნდაც ასეთი მოთხოვნა/წარმოება შემდგომში დაედოს საფუძვლად პრეტენზიას.

5.3.7. სასამართლოს არაფულადი სახის მითითებების ან ბრძანების შესრულების მიზნით დამზღვევის მიერ გაწეული ხარჯები

5.3.8 პრეტენზიები დამზღვევის მიერ ისეთი საქმიანობის განხორციელებისას ან მომსახურების გაწევისას დაშვებულ შეცდომებთან, გაუფრთხილებელ ქმედებებთან დაკავშირებით, რომელიც ცდება საქართველოს კანონმდებლობით, ეთიკის კოდექსით და სხვა ანალოგიური ნორმებით გათვალისწინებულ მისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებს.

5.3.9. პრეტენზიები გამომდინარე დამზღვევის ფინანსური, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ან სხვა კომერციულ საკითხებთან დაკავშირებული რჩევებისა და რეკომენდაციებიდან, დაზღვევასთან დაკავშირებულ საკითხებთან კონსულტაციების ჩათვლით;

5.3.10. შეცდომები ან ვალდებულებათა დარღვევა, რაც დაკავშირებულია ბუღალტრულ ანგარიშგებასა და საქმისწარმოებასთან, ფინანსური გადარიცხვების წარმოებასთან ან გამოწვეულია დამზღვევის ან/და დამზღვევის თანამშრომლების მიერ სხვისი საკუთრების მითვისებასთან;

5.3.11. პრეტენზიები დაკავშირებული დამზღვევის საქმიანობასთან ნებისმიერი აღმასრულებელი ან საზედამხედველო ორგანოს, კერძო საწარმოს, ორგანიზაციის/დაწესებულების, ასოციაციის ხელმძღვანელის, წევრის ან იურიდიული კონსულტანტის სახით;

5.3.12. ცილისწამებასთან, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრეტენზიები;

5.3.13. პირგასამტეხლო, ჯარიმები და საურავები ან მიყენებული ზიანის მაკომპენსირებელი თანხების გაზრდის შედეგად გამოწვეული ნებისმიერი სხვა ზარალი.

5.3.14. დირექტორის ან თანამდებობის პირის მიერ ჩადენილ ან ნებადართულ უკანონო ან გაუფრთხილებელ ქმედება, შეცდომა ან უმოქმედობა, ან ვალდებულების დარღვევა, ან ასეთი ქმედებების მცდელობა, როცა პრეტენზია დამზღვევის მიმართ წაყენებულია მხოლოდ იმის გამო, რომ ეს პირი არის დირექტორი ან სხვა თანამდებობის პირი და რომ იგი მოქმედებდა როგორც დირექტორი ან თანამდებობის პირი.

5.3.15. პრეტენზიები, რომლებიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია საპენსიო ფონდებთან;

5.3.16. პრეტენზიები, რომელიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია ელექტრო-მაგნიტურ ველებთან და/ან ელექტრო-მაგნიტურ რადიაციასთან.

5.3.17. პრეტენზიები, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქტის ნებისმიერი გზით მიმოქცევაში გაშვებასთან.

5.3.18. ზიანი გამოწვეული დამზღვევის მიერ განსაკუთრებით სახიფათო გარემობების თავიდან აუცილებლობის შედეგად, როგორც ეს მოთხოვნილი იყო მზღვეველის მიერ. განსაკუთრებით სახიფათო გარემოებებს, ეჭვის შემთხვევაში მიეკუთვნება ისეთი გარემოებები, რომლებმაც ერთხელ უკვე გამოიწვიეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომა;

5.3.19. პრეტენზიები, რომლებიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია ინფორმაციულ ტექნოლოგიებში დაშვებულ შეცდომებთან ან ასეთი ტექნოლოგიების გამოყენებასთან (ფულის ელექტრონული ტრანსაქციები, ელექტრონული რეკლამა, ელექტრონული კორესპონდენცია და ვირუსების გადაცემა, მონაცემთა დამუშავება, შეუსაბამო ან გაფუჭებეული პროგრამული ან ტექნიკური უზრუნველყოფა, ინტერნეტ პროვაიდერთა პასუხისმგებლობა და ა.შ.).

5.3.20. პრეტენზიები დაკავშირებული საკასო აპარატში თანხის უქონლობა/უკმარისობასთან, ანგარიშსწორებისას დაშვებულ შეცდომებთან, დამზღვევის ან იმ პირთა მიერ, რომლებზეც კანონმდებლობის მიხედვით პასუხისმგებელია დამზღვევი, ჩადენილ მითვისებასთან ან გაფლანგვასთან.

5.3.21. პრეტენზიები, რომლებიც დაკავშირებულია დამზღვევის, როგორც დამქირავებლის ვალდებულებების დარღვევასთან.

5.3.22. პრეტენზიები ისეთ ზიანთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს დაზღვევისათვის საჭირო ფინანსური საშუალებების მოუპოვებლობასთან.

5.3.23. ზიანი, რომელიც გამომდინარეობს დამზღვევის გარდა სხვა ნებისმიერი პირის სახელშეკრულებო (პროფესიული) პასუხისმგებლობიდან, რომლისთვისაც დამზღვევი არაა პასუხისმგებელი კანონით.

5.3.23. დაზღვეულთა პრეტენზიები ერთმანეთის წინააღმდეგ, ან პრეტენზიები, რომლებიც აღძრულია იმ მხარის მიერ,

- რომელსაც პირდაპირ არ არაპირდაპირ ფლობს, აკონტროლებს, მართავს, ან ხელმძღვანელობას უწევს დამზღვევი;
- რომელშიც დამზღვევი წარმოადგენს პარტნიორს, კონსულტანტს, თანამშრომელს ან ნათესავს (მათ შორის მეუღლეს)

VI. სადაზღვევო თანხა და ფრანშიზა

6.1. სადაზღვევო თანხის ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და მიეთითება სადაზღვევო პოლისში.

6.2. სადაზღვევო თანხა წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკლრულებით გადასახდელი იმ სადაზღვევო ანაზღაურების ზღვრულ თანხას (მზღვეველის პასუხსიმგებლობის ლიმიტი), რომელიც შეიძლება განხორციელდეს ყველა სადაზღვევო შემთხვევაზე დაზღვევის ხელშეკრულების მთელი პრიოდის განმავლობაში.

სადაზღვევო თანხის ფარგლებში სადაზღვევო პოლისით შეიძლება განისაზღვროს მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტები ერთ სადაზღვევო შემთხვევაზე, რისკის ცალკეულ კატეგორიებზე, მიყენებული ზიანის სახეებებზე და სხვა.

6.3. სადაზღვევო პოლისით შეიძლება გათვალისწინებული იქნას თავად დამზღვევის მონაწილეობა მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში – ფრანშიზა.

ფრანშიზა შეიძლება იყოს პირობითი ან უპირობო და განისაზღვროს სადაზღვევო თანხის, ზარალის თანხის პროცენტულ მაჩვენებელში ან აბსოლუტურ ფულად გამოსახულებაში:

6.3.1. პირობითი ფრანშიზის შემთხვევაში მზღვეველი არ ახორციელებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას, თუ ზარალის თანხა ფრანშიზის ოდენობას არ აღემატება, მაგრამ ახდენს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას სრული ოდენობით, თუ ზარალის თანხა ფრანშიზის ოდენობას აღემატება.

6.3.2. უპირობი ფრანშიზის შემთხვევაში მზღვეველი ყველა შემთხვევაში ახდენს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას, ფრანშიზის ოდენობის თანხის გამოკლებით. ზარალი, რომელიც უპირობო ფრანშიზის ოდენობას არ აღემატება, ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სადაზღვევო პოლისით, ფრანშიზა განისაზღვრება ყოველ სადაზღვევო შემთხვევაზე. რამოდენიმე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ფრანშიზა გაითვალისწინება თითოეულ მათგანზე.

VII. საადზღვევო პრემია

7.1. სადაზღვევო ტარიფი – არის სადაზღვევო პრემიის განაკვეთი სადაზღვევო თანხის ერთეულზე, დაზღვევის ობიექტის და სადაზღვევო რისკის ხასიათის გათვალისწინებით.

სადაზღვევო ტარიფის კონკრეტული ოდენობა განისაზღვრება დაზღვევის სადაზღვევო პოლისით მხარეთა შეთანხმებით.

7.2. სადაზღვევო პრემია წარმოადგენს დამზღვევის გადასახადს, რომელიც დაზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს სადაზღვევო პოლისით დადგენილი ოდენობით, წესითა და ვადაში.

7.3. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება ერთჯერადი გადასახადის სახით ან განვადებით. სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდისას სადაზღვევო პოლისით მხარეები განსაზღვრავენ განვადების კონკრეტულ წესს, აგრეთვე შეზღუდვებს, მოთხოვნებს გადახდის ვადის და შენატანების ოდენობის მიმართ, აგრეთვე მხარეთა პასუხისმგებლობას, რომელიც დაკავშირებულია განვადებით გადასახადის გადახდის ვალდებულების დარღვევსათან.

7.4. სადაზღვევო პრემიის (სადაზღვევო შენატანების) გადახდა შეიძლება განხორციელდეს:

- უნაღდო ანგარიშსწორებისას – გადარიცხვით მზღვეველის ანგარიშსწორების ანგარიშზე;

- ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას – მზღვეველის სალაროში გადახდით.

7.5. სადაზღვევო პრემიის გადახდის დღედ ითვლება:

- უნაღდო ანგარიშსწორებისას – მზღვეველის ანგარიშზე ფულადი სახსრების შემოსვლის დღე;

- ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას – მზღვეველის სალაროში ფულადი სახსრების შეტანის დღე.

VIII. დაზღვევის ხელშეკრულება

8.1. დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს დამზღვევსა და მზღვეველს შორის შეთანმხმებას, რომლის ძალით მზღვეველი იღებს ვალდებულებას სადაზღვევო პრემიის მიღების სანაცვლოდ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვლენის (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას, დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის (პასუხისმგებლობის ლიმიტის) ფარგლებში მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა, დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით.

8.2. დაზღვევის ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით. დაზღვევის ხელშეკრულებას წარმოადგენს დამზღვევსა და მზღვეველს შორის გაფორმებული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს დამზღვევის მიერ შევსებული განაცხადის, მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო პოლისისა და წინამდებარე პირობების ერთობლიობას. ყველა ჩამოთვლილი დოკუმენტი განიხილება ერთობლიობაში.

8.3. დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად დამზღვევი წარუდგენს მზღვეველს წერილობით განაცხადს მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით. განაცხადი დაზღვევის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

8.4. განაცხადით გათვალისწინებული მონაცემების გარდა დამზღვევი ვალდებულია, წარადგინოს დოკუმენტები და ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობისა და მისი დადგომით გამოწვეული შესაძლო ზარალის ოდენობის შეფასებისათვის.

8.5. თუ დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ დადგინდება, რომ დამზღვევმა დაზღვევის შესახებ განაცხადში, აგრეთვე სხვა პასუხებში მზღვევლის მიერ დასმულ კითხვებზე აშკარად ცრუ ან არასწორი მონაცემები შეატყობინა, მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხოვოს დაზღვევის ხელშეკრულების ბათილად ცნობა ხოლო სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას – უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე.

8.6. დაზღვევის ხელშეკრულება დაიდება ერთი წლის ვადით ან მხარეთა მიერ შეთანხმებული სხვა ვადით.

დაზღვევის პერიოდის დაწყების და დასრულების თარიღები მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

8.7. პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

8.7.1. სადაზღვევო პრემიის დროულად, სადაზღვევო პოლისით დადგენილ ვადებში გადაუხ-დელობის შემთხვევაში, მზღვეველის მხრიდან განისაზღვრება პრემიის გადახდის ორკვირიანი დამატებითი ვადა. თუ ამ ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას, და გადახდა არ იქნება განხორციელებული, მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან. ამასთან, პრემიის დროულად გადაუხდელობისას მზღვეველი უფლებას იტოვებს ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება.

8.8. დაზღვევის ხელშეკრულება წყდება შემდეგ შემთხვევებში:

8.8.1. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისას.

8.8.2. მზღვეველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული მოცულობით შესრულებისას.

8.8.3. თუ დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემია (შენატანები) არ იქნება გადახდილი დადგენილი წესით.

8.8.4. დამზღვევის ან მზღვეველის ლიკვიდაციის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.8.5. სასამართლოს გადაწყვეტილებით დაზღვევის ხელაშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში.

8.8.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.9. დაზღვევის ხელშეკრულება დამზღვევის ინიციატივით ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს, თუ მისი ძალაში შესვლის შემდეგ, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესაძლებლობა და სადაზღვევო რისკის არსებობა გამოირიცხება სადაზღვევო შემთხვევისგან განსხვავებული გარემოებების გამო.

ზემოხსენებული გარემოებების გამო დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტისას მზღვეველს უფლება აქვს მიიღოს სადაზღვევო პრემიის ნაწილი იმ დროის პროპორციულად, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა დაზღვევა.

8.10. დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

8.11. დაზღვევის ხელშეკრულების ვადამდელი შეწყვეტის განზრახვის შესახებ მხარეები ვალდებულნი არიან შეატყობინონ ამის შესახებ ერთმანეთს დაზღვევის ხელშეკრელების შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ 30 დღით ადრე.

მხარეთა შეთანხმებით დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტისას მზღვეველს უფლება აქვს მიიღოს სადაზღვევო პრემიის ნაწილი იმ დროის პროპორციულად, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა დაზღვევა.

8.12. დამზღვევს უფლება აქვს ნებისმიერ დროს უარი თქვას დაზღვევის ხელშეკრულებაზე, თუ უარის თქმის მომენტისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესაძლებლობა უკვე არ არის წინამდებარე პირობების 8.9 პუნქტში მითითებული გარემოებების მიხედვით. . ასეთ შემთხვევაში სადაზღვევო პრემიის გადახდილი გამოუმუშავებელი ნაწილი დაუბრუნდება დამზღვევს იმ პირობით, თუ იგი დააბრუნებს სადაზღვევო პოლისს მისი გაუქმებიდან 14 დღის განმავლობაში, ასევე, 8.14. პუნქტით დადგენილი პირობის გათვალისწინებით;

8.13. დაზღვევის ხელშეკრულება წინამდებარე პირობების შესაბამისად შეიძლება ვადამდე შეწყდეს მზღვეველის მოთხოვნით, თუ ასეთი მოთხოვნა დაკავშირებულია დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობების შეუსრულებლობასთან ან არაჯეროვნად შესრულებნასთან. ამასთან, ასეთ შემთხვევაში ანუ მზღვეველის მოთხოვნით ხელშეკრულების ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში გადახდილი სადაზღვევო პრემია არ ექვემდებარება დაბრუნებას.

8.14. დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, სადაზღვევო პრემიის ნაწილი იმ დროის პროპორციულად, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა დაზღვევა ექვემდებარება მზღვეველის მიერ სრულად მიღებას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველის მიერ შეყვეტის თარიღამდე გაცემულია სადაზღვევო ანაზღაურება ან ასეთი შეწყვეტის თარიღამდე მზღვეველთან დაფიქსირებულია განცხადება/პრეტენზია ზარალის თაობაზე, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაუხადოს მზღვეველს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პრემია.

IX. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1. მზღვეველი ვალდებულია:

9.1.1. გააცნოს დამზღვევს წინამდებარე პირობები.

9.1.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში სადაზღვევო აქტის ხელმოწერის შემდეგ, რომელიც შედგენილია სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შესახებ დამზღვევისგან მიღებული განცხადების, აგრეთვე ყველა იმ დოკუმენტის საფუძველზე, რომლებიც საჭიროა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტისა და გარემოებების და მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის. ამასთან, სადაზღვევო შEმთხვევის აქტს ხელ;ს უნდა აწერდეს როგორც მზღვეველი, ასევე დამზღვევი.

9.1.3. აუნაზღაუროს დამზღვევს ხარჯები, რომლებიც მან გასწია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის აცილების ან მისი ოდენობის შემცირებისათვის თუ ეს გათვალისწინებულია სადაზღვევო პოლისით.

9.1.4. არ გაახმაუროს მონაცემები დამზღვევის და მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. მზღვეველი უფლებამოსილია:

9.2.1. მოითხოვოს სახელმწიფო ორგანოებისგან, ორგანიზაციებისგან და სხვა პირებისგან სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული დოკუმენტები და დასკვნები, რომლებიც საჭიროა სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის საკითხის გადასაწყვეტად ან

მოსთხოვოს დამზღვევს ასეთი დოკუმენტების მოპოვება და მზღვეველისათვის მიწოდება.

9.2.2. დამოუკიდებლად გაარკვიოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მიზეზები და გარემოებები.

9.2.3. წარმოადგინოს დამზღვევის ინტერესები მესამე პირთა პრეტენზიების დარეგულირების დროს, წარმართოს მოლაპარაკებები დამზღვევის სახელით, განახორციელოს დამზღვევის სახელით და მისი დავალებით საქმეთა წარმოება სასამართლო და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში მესამე პირების მიერ განცხადებულ პრეტენზიებთან დაკავშირებით.

მზღვეველის აღნიშნული ქმედებები წარმოადგენს მის უფლებას და არა ვალდებულებას, აღნიშნული უფლებების გამოყენება ან გამოყენებაზე უარის თქმა არ წარმოადგენს მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულების აღიარებას.

9.2.4. დამზღვევის ან მისი მუშაკების წინააღმდეგ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის აღძვრისას, შეაჩეროს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა საქმის წარმოების შეწყვეტამდე ან სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

9.2.5. უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის შემთხვევაში მზღვეველი ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ დამზღვევს წერილობითი ფორმით უარის მიზეზების დასაბუთებით.

9.3. დამზღვევი ვალდებულია:

9.3.1. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესით, ვადაში და ოდენობით.

9.3.2. დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას შეატყობინოს მზღვეველს მისთვის ცნობილი ყველა ისეთი გარემოების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის შეფასებისთვის, აგრეთვე ყველა დადებული ან დასადები დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე დაზღვევის ობიექტთან.

9.3.3. სადაზღვევო შემთხვევის ნიშნების მქონე გარემოებების დადგომისას (გამოვლენისას):

9.3.3.1. მიიღოს ყველა გონივრული და ასეთ გარემოებებში მისთვის ხელმისაწვდომი ზომები მიყენებული ზიანის აცილების და/ან შემცირებისათვის.

ასეთი ზომების მიღებისასDდამზღვევი ვალდებულია შეასრულოს მზღვეველის მითითებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

9.3.3.2. დაუყოვნებლივ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არაუმეტეს ერთი სამუშაო დღის განმავლობაში, ნებისმიერი ხელმისაწვდომი საშუალებით შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის ნიშნების მქონე გარემოებების გამოვლენის (დადგომის) შესახებ, ამასთან მისთვის ყველა ცნობილი ინფორმაციის მითითებით და მის ხელთ არსებული დოკუმენტების წარდგენით.

მზღვეველს ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ეცნობოს ისეთი გარემოებების თაობაზე, რომელთა შესახებ დამზღვევისათვის ცნობილი გახდა და რომლებმაც შემდგომში შეიძლება გამოწვიოს წერილობითი პრეტენზიის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის და სასარჩელო განცხადების წარდგენა.

9.3.3.3. დაუყოვნებლივ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არა უმეტეს ერთი სამუშაო დღის განმავლობაში, ნებისმიერი ხელმისაწვდომი საშუალებებით შეატყობინოს მზღვეველს მესამე პირების მიერ წერილობითი პრეტენზიების, ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების, სასარჩელო განცხადებების წაყენების, აგრეთვე კომპეტენტური

ორგანოების მხრიდან სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ქმედებების დაწყების შესახებ.

9.3.3.4. მზღვეველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ნებაყოფლობით არ აღიაროს პრეტენზიები, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, სასარჩელო განცხადებები, არ აიღოს თავის თავზე რაიმე ასეთი მოთხოვნების ან პრეტენზიების დარეგულირების ვალდებულება, აგრეთვე არ აუნაზღაუროს (არ მისცეს ანაზღაურების დაპირება) მიყენებული ზიანი.

9.3.3.5. ხელი შეუწყოს მზღვეველს დაზღვეული ინტერესების სასამართლო და სამართლებირვი საშუალებებით დაცვაში.

9.3.4. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე განცხადებასთან ერთად მიაწოდოს მზღვეველს შემდეგი დოკუმენტების დედნები და/ან სათანადოდ დამოწმებული ასლები, მომხდარი მოვლენის ხასიათისა და გარემოებების მიხედვით:

- მესამე პირების წერილობითი პრეტენზიები, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, სასარჩელო განცხადებები ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, მიყენებული ზიანის ოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტების დართვით;

- სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებითაც დგინდება დამზღვევის ვალდებულება აუნაზღაუროს მესამე პირებს მიყენებული ზიანი, თუ ზიანის ანაზღაურების საკითხი განიხილებოდა სასამართლო წესით;

- ყველა შემთხვევაში, როდესაც ზიანის მიყენების გამომწვევ გარემოებათა მოკვლევაში სამართალდამცავი ორგანოები მონაწილეობდნენ – სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები ან სისხლის სამართლის საქმის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის აღძვრაზე უარის თქმის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

- შეთანხმება იურიდიული დახმარების შესახებ (ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე) დამზღვევსა და მარწმუნებელს შორის;

- დოკუმენტები რომლებიც ადასტურებენ მესამე პირთათვის მიყენებული ზარალის ოდენობის;

- დოკუმენტები რომლებიც მომზადებული იყო დამზღვევის მიერ და სადაც დაშვებული იყო შეცდომები;

- წინამდებარე პირობების 10.4.2. – 10.4.4 პუნქტებში მითითებული დამზღვევის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები;

- დაზღვევის ხელშეკრულებით ან სადაზღვევო შემთხვევად მიჩნეული მოვლენის გარემოებებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.D

მზღვეველს შეუძლია შეამციროს დოკუმენტების სია ან მოითხოვოს დამზღვევისგან დამატებითი დოკუმენტების წარდგენა, თუ ამ დოკუმენტების არსებობა აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებების და მიყენებული ზიანის ოდენობის დასადგენად.

9.4. დამზღვევი უფლებამოსილია:

9.4.1. წერილობითი განცხადების საფუძველზე მიიღოს მზღვეველისგან დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) დუბლიკატი დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში მისი დაკარგვის შემთხვევაში. დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) დუბლიკატის გაცემის შემდეგ დაკარგული დაზღვევის ხელშეკრულება (პოლისი) ბათილად მიიჩნევა და მისი მიხედვით გადახდა არ ხორციელდება.

9.4.2. მიიღოს მზღვეველისგან განმარტებები დაზღვევის პირობებთან დაკავშირებით.

9.4.3. დაზღვევის პერიოდის განმავლობაში გაზარდოს სადაზღვევო თანხის ოდენობა მზღვეველთან შეთანხმებით, დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდით.

9.4.4 მოითხოვოს მზღვეველისაგან სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა წინამდებარე პირობების და სადაზღვევო პოლისის მოთხოვნათა შესაბამისად.

X. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა

10.1. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხორციელდება მზღვეველის მიერ იმ პირობით, რომ გათვალისწინებული იქნება ფრანშიზა და თანხები, რომლებიც მიღებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისათვის ბრალეული პირებისგან ზიანის ანაზღაურების კომპენსაციის სახით, დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით დამზღვევის წერილობითი განცხადების და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი სადაზღვევო აქტის საფუძველზე, მასზე წინამდებარე პირობების 9.3.4 პუნქტში მითითებული ყველა დოკუმენტის დართვით.

10.2. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხორციელდება სადაზღავევო თანხის ან სადაზღვევო პოლისში დადგენილი პასუხისმგებლობის ლიმიტის ფარგლებში.

10.3. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში დამზღვევის ქონებრივი ინტერესები დაზღვეულია ორ ან რამოდენიმე მზღვევლთან (ორმაგი დაზღვევა), მაშინ მზღვეველი ახდენს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას იმ თანხის ოდენობით, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის ყველა ასეთი დადებული ხელშეკრულების საერთო სადაზღვევო თანხასთან შეფარდების პროპორციულია.

10.4. წინამდებარე პირობების მიხედვით, თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის დადგენილი, სადაზღავევო ანაზღაურების თანხაში შედის:

10.4.1. იმ მესამე პირის მიერ, რომლის უფლებები დაირღვა, დარღვეული უფლების აღსადგენად გაწეული ან გასაწევი ხარჯები.

10.4.2. საჭირო და მიზანშეწონილი ხარჯები, რომლებიც გაწია დამზღვევმა სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზარალის შესამცირებლად, თუ ასეთი ხარჯების გაწევა აუცილებლობას წარმოადგენდა და გაწეული იქნა მზღვეველის თანხმობით.

10.4.3. ხარჯების ანაზღაურება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4.4. სასამართლო და საარბიტრაჟო სასამართლოებში საქმეების წარმოებისას დამზღვევის ინტერესების დაცვაზე გაწეული ხარჯები, ექსპერტების და ადვოკატების მომსახურების ანაზღაურების ჩათვლით, რომლებიც გაწეულია დამზღვევის მიერ მისთვის ქონებრივი პრეტენზიების წაყენების შედეგად.

აღნიშნული ხარჯების კომპენსაცია ხდება მხოლოდ რისკის დაზღვევის პირობით წინამდებარე პირობების 4.4 პუნქტის შესაბამისად, ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც შემდგომში არ დგება დამზღვევის ვალდებულება აანაზღაუროს მიყენებული ზიანი განცხადებული ქონებრივი პრეტენზიის შესაბამისად.

10.5. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშწორების გზით მესამე პირის ან დამზღვევის ანგარიშსწორების ანგარიშზე, თუ მან დამოუკიდებლად აანაზღაურა მიყენებული ზიანი მზღვეველის წერილობითი თანხმობით.

წინამდებარე პირობების 10.4.2.-10.4.4 პუნქტებში მითითებული ხარჯები აუნაზღაურდება უშუალოდ დამზღვევს.

10.6. თუ მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას არა მხოლოდ დამზღვევის, არამედ სხვა პირების მიერ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მის მიყენებაზე, მზღვეველი აანაზღაურებს მხოლოდ სხვაობას გადასახდელად განკუთვნილ თანხასა და იმ პირების მიერ გადასახდელ თანხას შორის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მიყენებული ზიანისათვის.

დამზღვევი ვალდებულია შეატყობინოს მზღვეველს ასეთი პირების არსებობის შესახებ, აგრეთვე, ასეთი პირების მხრიდან გადასახდელი თანხების ოდენობის შესახებ.

10.7. მზღვეველი უფლებამოსილია გაზარდოს სადაზღვევო ანაზღაურების შესახებ საკითხის განხილვის ვადა, თუ:

10.7.1. დანიშნულია დამატებითი ექსპერტიზა სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის. დამატებითი ექსპერტიზის ჩატარების ხარჯებს გაიღებს ის მხარე, რომლის ინიციატივითაც დაინიშნა ექსპერტიზა.

10.7.2. სადაზღვევო შემთხვევის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, თუ გამოძიების შედეგებს შეუძლია გავლენის მოხდენა სადაზღვევო შემთხვევის ფაქტისა და მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე. გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება კომპეტენტური ორგანოების მიერ საქმის წარმოების დასრულების შემდეგ.

XI. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის თქმა

11.1. მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე:

11.1.1. დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობების 9.3. პუნქტით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

11.1.2. თუ მომხდარი შემთხვევა ჯდება გამონაკლისთა, არანაზღაურებად შემთხვევათა ნუსხაში;

11.1.3. თუ დამზღვევმა უარი თქვა თავის მოთხოვნის უფლებაზე მზღვეველის მიერ ანაზღაურებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ, ან ამ უფლების განხორციელება შეუძლებელი გახდა დამზღვევის ბრალით.

11.2. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის შესახებ გადაწყვეტილება ეცნობა დამზღვევს წერილობითი ფორმით, უარის მიზეზების დასაბუთებით.

11.3. მზღვეველის უარი სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე შეიძლება გასაჩივრდეს დამზღვევის მიერ სასამართლო წესით.

XII. რისკის ხარისხის შეცვლა

12.1. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში დამზღვევი ვალდებულია ერთი სამუშაო დღის განმავლობაში, ნებისმიერი ხელმისაწვდომი გზით შეატყობინოს მზღვეველს მისთვის ცნობილი იმ გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ, რომელთა თაობაზე მისთვის ცნობილი გახდა ხელშეკრულების დადების შემდეგ. ამ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების ფაქტი უნდა დადასტურდეს წერილობითი მტკიცებულებებით.

ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანად მიიჩნევა გარემოებების შეცვლა, რომლებიც შეთანხმებულია დაზღვევის ხელშეკრულებაში და დაზღვევის შესახებ წერილობით განაცხადში.

12.2. მზღვეველი, რომელსაც ეცნობა რისკის ხარისხის გაზრდის გამომწვევი გარემოებების შესახებ, უფლებამოსილია მოთხოვოს დამზღვევს ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდა რისკის ხარისხის გაზრდის პროპორციულად.

თუ დამზღვევი ეწინააღმდეგება დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შეცვლას ან დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდას, მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხოვოს დაზღვევის ხელშეკრულების მოშლა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობების 12.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დაზღვევის ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

12.4. თუ დამზღვევის მიერ 12.1. პუნქტით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი გამოვლინდა სადაზღვევეო შემთხვევის დადგომის შემდეგ მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

XIII. ზიანის ანაზღაუურებასთან დაკავშირებული დამზღვევის უფლებების მზღვეველზე გადასვლა (სუბროგაცია)

13.1. მზღვეველზე, რომელსაც გადახდილი აქვს სადაზღვევო ანაზღაურება, გადახდილი თანხის ფარგლებში გადადის მოთხოვნის უფლება, რომელიც დამზღვევს გააჩნია დაზღვევის შედეგად ანაზღაურებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის (გარდა სადაზღვევო პოლისით დასახელებული დაზღვეული პირებისა) მიმართ.

13.2. მზღვეველზე გადასული მოთხოვნის უფლება ხორციელდება იმ წესების დაცვით, რომლებითაც რეგულირდება ურთიერთობა დამზღვევსა და ზიანზე პასუხისმგებელ პირს შორის.

13.3. დამზღვევი ვალდებულია გადასცეს მზღვეველს ყველა დოკუმენტი და მტკიცებულება და შეატყობინოს ყველა მონაცემი, რომელიც საჭიროა მზღვეველისთვის მასზე გადასული მოთხოვნის უფლების განხორციელებისთვის.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი უარს აცხადებს მზღვეველისათვის 13.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის გადაცემაზე ან სხვაგვარად უშლის ხელს მზღვეველს აღნიშნული მოთხოვნის გამოყენებაში, მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

XIV. დავების გადაწყვეტის წესი

14.1. დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესში წამოჭრილი ყველა დავა წყდება მოლაპარაკებათა გზით.

სადავო საკითხებზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მათი გადაწყვეტა ხორციელდება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით..

XV. დასკვნითი დებულებები

15.1. სახელშეკრულებო პირობების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ისინი წარმოადგენენ დაზღვევის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15.2. დაზღვევის ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას თუ იგი დაიდებობა ასეთი ბათილი პუნქტის გარეშეც.

15.3. დაზღვევის ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან გადაეგზავნება ფაქსით, ან დაზღვეული ფოსტით მხარეთა ადგილსამყოფელის მიხედვით. მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ გამგზავნილი ნებისმიერი კორესპოდენცია/შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად.

15.4. სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებული შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, დაზღვევის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი ანიჭებს უპირობო უფლებას მზღვეველს, დამატებითი შეთანხმების გარეშე, დამზღვევის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც გამოიწვევს დამზღვევს აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.

14.5. დაზღვევის ხელშეკრულების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია გონივრული განსჯის შედეგად და მასზე ხელმომწერ პირებს აქვთ სათანადო უფლებამოსილება ამისათვის;

15.6. დაზღვევის ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა "დამზღვევს", მეორე კი _ "მზღვეველს";

15.7. წინამდებარე პირობებსა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისის პირობებს შორის წინააღმდეგობის და/ან განსხვავების არსებობისას, უპირატესი ძალა ენიჭება სადაზღვევო პოლისის პირობებს.